ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N21

დ.სტეფანწმინდა **3 თებერვალი 2023 წელი**

ერთის მხრივ, ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია (შემდგომში „შემსყიდველი“) წარმოდგენილი მისი მერის, ბაკური ავსაჯანიშვილის სახით და მეორეს მხრივ, შპს ტონერ თრეიდი (შემდგომში „მიმწოდებელი“) წარმოდგენილი მისი დირექტორის შოთა ფედიაევის სახით, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს N13 ბრძანების მე-2 მუხლის „ა“ პუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ შემდეგზე:

1.**ხელშეკრულებაში გამოყენებული ტერმინთა განმარტებები**

1.1 ხელშეკრულება ,,სახელმიწოფო შესყიდვების შესახებ“ (შემდგომში – „ხელშეკრულება“) – შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება,რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით. ხელშეკრულება შედგენილია 2(ორი) თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლიარად ქართულ ენაზე. აქედან ერთი ეგზემპლიარი გადაეცემა მიმწოდებელს, ერთი – შემსყიდველს.
1.2 „ხელშეკრულების ღირებულება“ – ხელშეკრულების ჯამური ღირებულება, რომელიც უნდა გადაიხადოს
შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულ და ზედმიწევნით შესრულების სანაცვლოდ.
1.3 ,,დღე“,,,კვირა“ ,,,თვე „ – კალენდარული დღე, კვირა ,თვე.
1.4 „შემსყიდველი“–ორგანიზაცია რომელიც ახორციელებს შესყიდვას.
1.5 ,,მიმწოდებელი“–პირი ,რომელიც ასრულებს სამუშაოს ხელშეკრულების ფარგლებში
1.6. ,,საქონელი“ – ხელშეკრულების მე–2 მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების საგანი

2.ხელშეკრულების საგანი

2.1 ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დანართი #1-ით გათვალისწინებული საქონლის შეძენა. (შემდგომში: საქონელი)

დანაყოფის კოდი:30100000; 30125100

3.ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების საერთო ღირებულება შეადგენს 1480 (ათას ოთხას ოთხმოცი) ლარს.
3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადებს.

4.**ანგარიშსწორების ფორმა და ვადები**

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში.

4.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება შემსყიდველის მიერ იწარმოებს საბოლოოდ შესაბამისი საანგარიშწორებო დოკუმენტებისა და მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე.
4.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის მხარეთა მიერ ხელმოწერის შემდეგ 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

5.მიღება-ჩაბარების წესი

5.1. მიმწოდებელი შემსყიდველს წარუდგენს მიღება-ჩაბარების აქტს და საანგარიშსწორებო დოკუმენტაციას.
5.2. იმ შემთხვევაში თუ არ განხორციელდა ხარისხიანი საქონლის მიღება მიმწოდებელი ვალდებულია ხუთი დღის ვადაში უზრუნველყოს ნაკლოვანი საქონლის შეცვლა სათანადო ხარისხის საქონლით,ხოლო აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მიმწოდებელს დაეკისროს პირგასამტეხლო ხელშეკრულების 9.1 პუნქტით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.

6.საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

6.1 საქონლის მიწოდების ვადებია ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან 2023 წლის 20 თებერვლის ჩათვლით.
საქონლის შეძენის ადგილია: თბილისი, მერაბ ალექსიძის #5

7. მხარეთა უფლება-მოვალეობანი

7.1 შემსყიდველი ვალდებულია აუნაზღაუროს მიმწოდებელს მიწოდებული საქონლის ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.
7.2 დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა.
7.3 მიმწოდებელი ვალდებულია :
ა) მიაწოდოს შემსყიდველს უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო საქონელი .
ბ)შემსყიდველს მიაწოდოს საქონელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად და უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა.
გ) მიმწოდებელი იძლება შესყიდულს საქონელზე გარანტიას მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში.

8.ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების კონტროლი

8.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების კონტროლს განახორციელებს ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი ლელა წამალაიძე.

8.2. ინსპექტირება გულისხმობს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შესრულებისა და მიწოდებული საქონლის ხარისხის კონტროლს.
8.3.ყველა გამოვლენილი ხარვეზის ან ნაკლის აღმოფხვრასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურება ეკისრება მიმწოდებელს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. ინტერესთა კონფლიქტი

9.1. საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-8 მუხლის მოთხოვნათა გათვალისწინებით, წინამდებარე ხელშეკრულებაზე და მიღება-ჩაბარების აქტზე ხელმომწერი და კონტროლის განმახორციელებელი პირები სრულად აკმაყოფილებენ კანონის ამ მოთხოვნას და არ იმყოფებიანინტერესთა კონფლიქტში „მიმწოდებელთან“.

10.პირგასამტეხლო ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის

10.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის, ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე ხელშეკრულების ღირებულების 0,2%-ის ოდენობით.
10.2. იმ შემთხვევაში, თუ დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 5 (ხუთი) პროცენტს, შემსყიდველი იტოვებს უფლებას შეწყვიტოს ხელშეკრულება და მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების შეწყვეტის მომენტისთვის გადასახდელი პირგასამტეხლოს ანაზღაურება.
10.3. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს მხარეს ძირითადი ვალდებულებების შესრულებისგან .

11.ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა.

11.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.
11.2. ხელშეკრულების პირობების , მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისათვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევევბისა ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
11.3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398–ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებების დადგომის შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%–ზე მეტი ოდენობით.
11.4. ხელშეკრულების ერთ–ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

12 დაუძლეველი ძალა

12.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.
12.2. თუ,ერთ–ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო დღისა აცნობოს მეორე მხარეს

მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.
12.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე .

13.დავები და მათი გადაწყვეტის წესი

13.1. ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში წამოჭრილი ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმების გზით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიამართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.ხელშეკრულების მოქმედების ვადა
14.1. ხეშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან და მოქმედებს 2023 წლის 30 მარტის ჩათვლით.

„შესყიდველი“	„მიმწოდებელი“
ყაზბეგის მუნიციპალიტეტის მერია	შპს ტონერ თრეიდი
მის: დაბა სტეფანწმინდა, დ.აღმაშენებლის N36 ს/კ 241499473 სახელმწიფო ხაზინა	მის: ქ.თბილისი, მერაბ ალექსიძის#5 ს/კ 405579501 ტელ: 577444694 სს თიბისი ბანკი ბანკის კოდი TBCBGE22 ა/ა GE25TB7175036080100012
მუნიციპალიტეტის მერი	დირექტორი
ბაკური ავსაჯანიშვილი	შოთა ფედიაევი

Shota Pediaevi 13001011223
Digitally signed by Shota Pediaevi
Date: 2023.02.03 11:10:40

დანართიN1

	საქონლის დასახელება	მახასიათებლები	განზომილება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ:
1	კარტრიჯი D115L Draugen პოლონეთი	ბეჭდვის რესურსი 3000 გვ.	ცალი	8	65	520
2	კარტრიჯი CF540A Draugen პოლონეთი	ბეჭდვის რესურსი 3200 გვ	ცალი	2	120	240
3	კარტრიჯი CF541A Draugen პოლონეთი	ბეჭდვის რესურსი 2500 გვ.	ცალი	2	120	240
4	კარტრიჯი CF542A Draugen პოლონეთი	ბეჭდვის რესურსი 2500 გვ.	ცალი	2	120	240
5	კარტრიჯი CF543A Draugen პოლონეთი	ბეჭდვის რესურსი 2500 გვ.	ცალი	2	120	240
სულ ჯამი ლარში						1480

გარანტია: მიღება ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელი